




ჟურნ. „ნიანგის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამშრომ-
ლებსა და მკითხველებს ძველი ბოლშევიკის, მუშათა კლასის საქ-
მისათვის თავდადებული მებრძოლის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტ-
რალური კომიტეტისა და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკ. სამხრეთ კომიტე-
ტის წევრის, სსრ კავშირის ცაკისა და საქართველოს ცაკის წევ-
რის, ა.-კ. სფს. რესპუბლიკის ცაკის მდივნის, — ქართული საბჭოთა
სატირის ფუძემდებლისა და უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის
„ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის

აგს. სირიბისჯიო იუსუხ-ძე თოდრიას

გარდაცვალებას.

(მიზაძევა)

ვთქვით შენ სიმაღლით გავხარ ალვის ხეს,
ვთქვით გაქვს შენ სმენა იდეალური, —
ვთქვით შენ იოლად ვერ იტან სიცხეს
და სიცივის ხარ შენ მოხარული.

მაგრამ უეცრად შენ ცუდად გახდი
და აცახცახდი გერხვის ხესავით,
უეცრად დასქენა ვით ბაღში ვარდი
სახე მბრწყინავი შენი მზესავით.

ექიმი წუხს და ჯავრობს მაშინდა
„ო, შენ რა გითხრა... იყავ უბალტოდ...
ალბად გაცივდი.... შენ ასე გინდა“...
შენც ნადვლობ.. წევხარ.. მარტო ხარ.. მარტოდ

სხვა გზა არაა გამოსავალი, —
კონსულიუმში შესდგა საჩქაროდ,
გინახეს კბილი, ყური და თვალი.
და გითხრეს: — მძიმე ავადა ხარო...,

და ავარაკი გამოგიწერეს...
შენც მერე დღეს ხარ ავარაკზე.
ისვენებ. წამლობ. ჰკლავ პარაზიტებს,
რომ გადმოსულან შემოტევაზე...

გადის დრო და შენ გაჯანსაღდები,
ჩანჩქერივით გჩქეფს სისხლი ძარღვებში,
ალარ გაქვს მეტი გულში დარღები....
და მზიარულობ ამზანავებში...

მაგრამ ვიდრე შენ დაბრუნდებოდე,
შენში გაჩნდება სხვა ბაქტერია, —
მთვარიან ღამით ველარ ისვენებ.
ამბობენ შენზე: ვინმე შტერია.

დღე-ღამე ზიხარ, ფიქრობ და ფიქრობ, —
ხან ერთს იყვარებ და ხან მეორეს.
ყველას ხომ ერთ გულს ველარ გაუყოფ
ზოგს ახლოს ტოვებ და ზოგს კი შორე.

შენს ჯანმრთელობას შიში მოეღოს,
სჯობს დღესვე უკან დაბრუნდე სახლში, —
ბედნიერია კაცი ჯანმრთელი
უბედნიერეს ჩვენს ქვეყანაში.

მიზვარდი.



ჩემო კოხტა
ბიჭუნია,
გენაცვალოს
ჩემი თავი.
შენ ხარ ჩემი
მზე ბრწყინვალე,
ჩემი მთვარე
და ვარსკვლავი.
შენ ხარ ჩემი
სიხარული,
ყველაფერზე,
უფრო ტკბილი.
გაიზარდე,
გაიზარე,
გამახარე
დედა, შვილო!



ჩემო კოხტა
ფისუნია,
გენაცვალოს
ყველას თავი:
ჩემი ქმარი,
მისი დედა
და ორთავებს
ნათესავი.
შენ ხარ ჩემი
სიხარული
და ცხოვრებას
შინაარსი...
ო, რამდენჯერ
შენთვის, ფისო,
გამოვაგდე
ქმარი კარში.

კოსნა აკრძალულია?

ყველასთვის ცნობილია კოცნა ძალიანაა, სიმშვენიერის, უმანკოების თაყვანისცემა. კოცნიან ვარდს, კოცნიან კუნტრუშა ხბოს, ბატის ჭუკს, სიმინდის ტაროს, კოცნიან ყურძენს, ვაშლს, კოცნიან მუშა ხარის ჭედს, მეწველი ძროხის დრუნჩს.

კოცნა იყო და ახლაც არის რაიმე დამსახურების გამოხატველი მაღლობა... სათუთი გრძნობის გამოხატვა — სიყვარულისა და პატივისცემის ჯილდო. გამოთხოვების, დამშვიდების უამრს კოცნიდნენ და კოცნიან არამც თუ ცოცხალ, საყვარელ არსებებს, არამედ მკვდარსაც კი...

ასე და ამგვარად როგორც ზედათ კოცნას ჰქონდა და აქვს მოქალაქეობრივი უფლება. ეს ყველამ იცის და არაფერ არ ფიქრობს, რომ კოცნისათვის და ისიც „კანონიერი“ კოცნისათვის ვინმე შარს მოსდებს, და ამისთვის დააჯარიმებს.

მაგრამ, ვაგლახ, ისეთი წესრიგის დამცველიც ყოფილა, რომელსაც ეს არ სცოდნია და „კანონიერ მეუღლეებს“ გამოსათხოვარი კოცნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად მიაჩნია...

ისმინეთ.....

ესე ამბავი მოხდა 14 მაისს. სალამოს უამრს. მახარაძიდან — (ყოფ. ოზურგეთიდან) მატარებელი დაიძრა... ახალგაზრდობა მღერის:

„ოზურგეთი შერია
გოგო გადამერია“.

სადგურ შერიაში მატარებელი გაჩერდა. მივლინებაში მიმავალი ქმარი, კულტმოშუშავე ახალგაზრდა გამოეთხოვა თავის მეუღლეს და „ვაი ცოდვავ!... გადაკოცნა. ეს დაინახა მატარებლის უფროსმა პატარიძემ და მოინდომა დიდძელ გახდომა „თავზედ“ მგზავრს მოსთხოვა ხუთი თუმნის ჯარიმის გადახდა და მოუწოდომა მატარებელიდან ჩამოსმა. საჭირო დარჩა სადგურის ადმინისტრაციის ჩარევა, საბუთების გადასინჯვა, მგზავრების აღელვება, მართალია მგზავრი ვერც დააკავეს და ვერც ჯერჯერობით ჯარიმა გადახდევინეს, მაგრამ კითხვა მაინც ღიად დარჩა. მგზავრის მისამართი ჩაიწერეს.


მატარებელი დაიძრა და ახალგაზრდობა ისევ წამოიწყო სიმღერა:

ოზურგეთი — მერია,
კაცი გადამერია.
ზოგიერთი ტრანსპორტელი
ყურბანი და შტერია.

აბ. წულაძე

მ ო ნ გ დ ა

ნის



ალიგანგის გიგრი

არჩვენული

შემისრულდა ოცდამეათე...
ყოლიც მყავდა ოცდაათი,
(მგონი მეტიც — სულ ორმოცი,
არც კი მახსოვს გვარი მათი).
აქ რა არის გასაოცო?

ამაირად წელიწადზე
მოდის მხოლოდ ერთი ცოლი.
და ვისაც ყავს ერთი ცოლი,
ის არ არის ჩემი ტოლი.

ზოგიერთთან მყავდა შვილი,
როგორც კენტი, ისე წყვილი,
მაგრამ ზოგთან კი არც ერთი
(შემეწია ზოგჯერ ღმერთი).

მჯეროდა, რომ ცოლთა ცეცხლში
ფიქნებოდი მე პირველი...
მაგრამ, თურმე,
სხვებს ორმოციც კი ჰყოლია.
ჩემ წინ დგანან: დავით, ალექ,
ტრიფონ, სიმონ და კოლია.

ერთხელ შემხვდა ქუჩის ბავშვი,
ამედევნა ჩაკონკილი.
მას ჩავარტყი მაგრად თავში,
თურმე იყო ჩემი შვილი.

გადავშალე ღღეს დავთარი,
წაგიკითხე ცოლთა სია.
იმ სიაში ვინ არ არი?
თინა, სონა, ვასასია,
ფედოსი და ნატალია,
(რა ფიგურა, რა ტალია!)

მიჩივლეს და ალიმენტი
მომისაჯეს თქვენ დომენტის...
და ასეთიც რამდენია,
შემემატოს მე ღღენია.

მაგრამ... მაგრამ ეს რა არის!
თუ გაიგეს ყველა, მაშინ...
მაშინ სადღა დავიმალო
მ-წაში თუ მალლა ცაში?!

კინჭარი



— ეს რა აზგანია?! შაგრაში ცო-
ლი მყოლია, მაგრამ ახლთი რისხვა
არც ერთი მათგანი...
ხინ თავეს.



4 წელიწადს მე და ერგასი ერთად ვსწავლობდით. ერთ სკოლაზე ვისხედით და ზოგიერთი სახელმძღვანელოც კი საერთო გვექონდა. ბოლოს ისე დავშეგობრდით, რომ უკანასკნელ ორ წელიწადს ერთ ბინაზე ვცხოვრობდით.

მას ხშირად ესტუმრებოდნენ მშობლები, რომლებსაც ისევე დავუშეგობრდით, როგორც მათ შვილს.

და, აი, ამას წინათ მივლინებაში ვიყავი იმ ქალაქში სადაც ისინი ცხოვრობენ.

მოულოდნელად ქუჩაში შემხვდა ჩემი ძველი მეგობრის მამა, იგივე ჩემი მეგობარი ბიკენტი. გულითადი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ, მან მიმპატიჟა:

— სადილზე რომ ჩემთან არ მოხვიდე, ცოლ-შვილს მოიცილები ჩვენი მეგობრობა სამუდამოდ გაქრება. თუ მე და ჩემ ცოლს არა გვცემ პატივს, შენ მეგობარს, ერგასის, მაინც ეცი პატივი და აუცილებლად მოდი.

— ილიო სიამოვნებით, მაგრამ მატარებელი აორე გადის და...

— 7 საათზე გადის. საკმაო დროა. თანაც თქვენთან სიტყვა მაქვს. წერილის მოწერაც კი მინდოდა...

— ასეთი რა საქმეა?

— აი, როცა მოხვალ, ყველაფერს გეტყვი. შენი თანდასწრებით უნდა წაუკეთხო მარაქისი. შენთან უნდა შევარცხვინო, ეგებ უკლოს, თორემ კაცი ილუბება...

— რაშია საქმე, ბიკენტი?

— აი, მაშინ გეტყვი, როცა ყველანი ერთად ვიქნებით. მის სხვა ამბანაგებსაც დავუძახებ. ორ-სამ კაცს. ჩემს ძველ მეგობარსაც მოვიყვან, და სერიოზულად მოვილაპარაკოთ. ან უნდა გამოსწორდეს, ანდა... უნდა, აღარ ვიცი!

— გერადფერი გამიგია, რას სჩადის ჩემი მეგობარი ასეთს?!

— სვამს. ხშირად ითვრება.

— ეს ხომ.....

— აპაპაპაპაპა, არ დაიცვა, თორემ მისი პირველი მტერი შენ იქნები..... ჰოდა, აუცილებლად უნდა მოხვიდე. შენ მას ძალიან უყვარხარ პატივს გცემს და დაგიჯერებს, თორემ კაცი ილუბება. უნდა ეუშველოთ... არ გემშვიდობები, აუცილებლად მოხვალ! — და არ გამოემშვიდობა, ისე წავიდა ბიკენტი.

დაწესებულებაში მოშაობის გათავების შემდეგ, სწორედ სადილობის დროს. როცა მივდიოდი სტუმრად ბიკენტისთან, ქუჩაში შემხვდა შინ მიმავალი ჩემი ძველი მეგობარი ერგასი.

ალბათ ყველას გამოგვიცდიათ, თუ რა სიხარულს იწვევს ძველი და გულითადი მეგობრის ნახვა.

მკლავი მკლავში გამიყარა და მითხრა:

— ახლა რომ ჩემთან არ წამოხვიდე, მორჩა ჩვენი მეგობრობა. მართალია. წინასწარ მომზადებული გრადფერი მატყა, მაგრამ მეგობრულად იოლად გავალთ. აგერ გასტრონომში შევიწვლი და საჭირო რამე-რამეს ვიყიდი.

— დაპატიჟებული ვარ უკვე, ჩემო ერგასი.

— არავითარი დაპატიჟება.

— მე უკვე დაპატიჟებული ვარ. ბიკენტი შემხვდა და დამპატიჟა. ახლა მე თქვენთან მოვდივარ.

— სინდისს გაფიცებ!

— მართალს გიუბნები.

— აბა, სადილი მზად გვექნება, არაფრის ყიდვა არ არის საჭირო. ყოჩაღ ბიკენტი. მთვრალი ხომ არ ყოფილა თუ შეატყვე?

— არა.

— მაღლობა ღმერთს.

— რატომ ამბობ?

— რატომ ვამბობ და, სვამს, ხშირად ითვრება. გამიჭირვა საქმე. კაცი უკვე თითქმის მოხუცდა და ღვინის სმას თავს არ ანებებს მაინც. კარგია, რომ ახლა შემხვდი. ერთი მაგრად უნდა შევახურო შენთან, რომ უკლოს ღვინის სმას.

ასეთი ლაპარაკით მივედით ოჯახში. დიასახლისსაც არანაკლებ გაუხარა ჩემი მისვლა.

— არა უშავს. შვილო, გვარიანად ვცხოვრობ, მაგრამ ქმარი და შვილი ძალიან მაწუხებს.

მე ჯერ ვერ გავიგე დიასახლისის ეს სიტყვები და გამიკვირდა:

— ჰო, კი, ქმარი და შვილი... ისე როგორც ცოლი და შვილი.... საერთოდ....

— არა, შვილო, მე სხვაზე ვლაპარაკობ. ორივენი სვამენ და ამაზე ვწუხვარ. ერთმანეთს უშლიან სმას, ერთმანეთს ასწავლიან ჭკუას და სმას მაინც განაგრძობენ.

გაშლილ სუფრას 7-8 კაცი შემოვუსხედით.

— ყოველ წვეულებას ხელმძღვანელი სჭირია. — განაცხადა ბიკენტმა. — ამიტომ თამადა უნდა ავირიო.

— ან თქვენ უნდა იყოთ, პატივცემულო ბიკენტი, ანდა — ერგასი, აბა, ჩვენ. სტუმრებს, ხომ ვერ დავგაყენებ თამადად? — თქვა ერთმა სტუმართაგანმა, რომელსაც ყველმ დავუჭირეთ მხარი.

— მაშ მე ვიქნები! — თქვა ბიკენტმა.

— რატომ შენ და არა მე, მაშაჩემო? შენ მოხუცებული კაცი ხარ, ამდენი ღვინო გაწყენს! — ურჩია შვილმა.

— ჰო, ბევრი ღვინო, მაწყინარია. მაშა მოვალეა შვილს მოუ-

(გაზრდილება 88-7 888488)



— ვინ გაგიტყბათ თავი?

— არავინ. აგერ ვიყავით ბესიკის ქუჩაზე. მე-16 ნომერში გურჯაანის საკოლნეურნეო ღვინის წერტში ჩვენს გარეგინასთან დავითვერით, და ერთმანეთს თავი გავუტყბეთ.

გადამხიდეშლი (გადამყიდველს): — ეგერ რომ ქალი მოდის რიგში არ შემოუშვა. მაგას გუშინ ბაზარში აქ ოცდახუთ მანეთად ნაყიდი ზოტები სამოც მანეთად ვაძლიე და არ იყიდა.

ლიბერლისა და მა-
კეანეთის (მხარაძის
რ.) სოფ. საბჭოს
თავმჯდომარეების ბა-
ეშვები მღვდელმა
მონათულა.

ხუცესი:—ინათვლებიან თავმჯდომარენი საბჭოთა სოფლისა
ლიბერლის და მაკეანეთის მხარაძის რაიონისა, მონანი ღვინისა
და წვერნი პარტიისა ყრმანი ვაშაყმაძე დაცულად.



ოკი გენიოსი

ნოსიროს რამის საცდელ სადგურის მუშებს შეუძლიანთ იამაყონ. მათ ყველა ორი გენიოსი, ორი უმაღლესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომლებიც ქმნიან ახალ უმაღლეს ღირებულებას მუშათა კვების და საერთოდ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში.

არ გჯერათ?

მოიხმინეთ.

ნოსიროს რამის საცდელ სადგურს აქვს მუშათა სასაღილო. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მუშები და სადგურის დირექტორი სადილოს სუქმელად მიდიან. მხოლოდ სწავლასა და ვნით: დირექტორი—თჯახში, თავის ცოლშვილში, მუშები—სადგურის სასაღილოში.

— სასაღილო დეფიციტური — ჯაერობს დირექტორი.

— სადილი ძვირი და უფარგისია — ამბობენ ერთმანეთთან საუბრის დროს მუშები.

— სადილი უნდა გავაუმჯობესოთ და გავაიფოთ.

— მოითხოვენ კრებაზე მუშები.

— სასაღილო დეფიციტური არ უნდა იყოს... ფიქრობს თავის კაბინეტში დირექტორი და ზარს აწკარუნებს.

— რა გნებავთ?

— სასაღილოს გამგეს დამიძახეთ.

— ცოტა ხანში მასთან მოდის სასაღილოს გამგე.

— რისთვის მიძახდით?

— მეტად სერიოზული საჭმისათვის იცი რა არის რაციონალიზაცია?

— გამოვიგნია.

— გინდა დაჯილდოვება?

— რა მოგახსენო... — მორცხვობს სასაღილოს გამგე. სარფიანი დავალების მოლოდინში ანგორის კატასავით აპრუნხილ ულვაშებში ილიმება.

— მაშ თუ გინდა გამოვიგნე რაციონალიზაციის მიზნით ისეთი ხერხი, რომ მუშათა სასაღილო დეფიციტური არ იყოს. სასაღილოს გამგე კაბინეტიდან გადის და ერთ საათში უკანვე ბრუნდება.

— მოვიფიქრე აბს. დირექტორო.

— რა მოიფიქრე?

— ჩინებული ხერხი მოვიგონე. დეფიციტი აღარ იქნება.

— თქვი.

— ფასები გავაძვიროთ და კეოში გავაძვიროთ.

— ჩინებულია.

— დეფიციტის ნაცვლად მოგება იქნება.

— საუცხოვოა!... კერძს რაფერ შეამცირებ?

— ეგ მე ვიცი. ახლა რომ კილო ხორცში რვა პორცია გამოიყვანს, მაშინ თქვენს მეტს გამოვიყვან. ოღონდ შენ მიბრძანე და მე ვიცი როგორ გავჩარხავ საჭმეს.

— ჩინებულია! ჩინებულია! აბა საჭმეს შეუღდექი! ჯილდო ხელში გეჭიროს. — შესაბამის ალტაცებულ დირექტორი და გამგეს მხრებზე ხელს უტაცუნებს.

კეძები მართლაც მცირდება და ფასები ძვირდება. მუშები კი ბასბობენ... მაგრამ მკითხველი თვითონაც მიხედება თუ როგორ ბასბობენ მუშები, ისინი ბასბობენ არ კმაყოფილებიან და მოითხოვენ დაფნის გვირგვინით დაჯილდოვებას ორი ნოსიროელი რაციონალიზატორ-გენიოსებისას.

გუერთდება მათ ხმას და ვშუამდგომლობს დამატებით მათი „ნიანგის ორდენით“ დაჯილდოვებას.

ნ—ლი.

იტალიელმა ფაშისტებმა განაცხადეს, რომ ისინი გამოდიან დაზარალებულ მუსულმანების მფარველებად.

მგელი ჩემულობს მწვერულის ცხენების მჭამელი უმბა, მარტო კი გულში თავისთვის ასე ღლინებს ჩუმიდა:

— „რატომ სხვამ შეაზარაუნოს მუსულმანები ჩაგრული? სხვას რომ დაუთმო, მე თვითონ განა პირი მაქვს აკრული!“

ინგლისში გამოქვეყნდა განმარტება, რომ ლითონი ქალებს ძველმოდურად ეკრძალებათ დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში რაიმე თანამდებობის დაკავება. კორენაში (ინგლისი) მოეწყო ქალგაერთა სტვენაში შეჯიბრება. შეჯიბრებაში ქალებმა გაიმარჯვეს.

ამ მოვლენის მიზეზი ჩვენთვის გასაგებია. კითხულობენ კანონებს, თმები ყალყზე დგებიან... გამოსავალს სასურველს ჯერ სხვას ვერას ხედებიან და ქალები სტვენაში პირველები ხდებიან.

გერმანიაში ქორწინების რეგისტრაციის დროს უფასოდ ღებულობენ პიტლერის წიგნს: „ჩემი ბრძოლა“.


გერმანიაში უფასოა მხოლოდ ჰაერი და ერთადერთი კიდევ წიგნი ბატონ პიტლერის. აბა, გაბედეთ და უარი თქვით წიგნზე პიტლერის, მაშინ იგემებ ფაშისტის სუსსს, ვით მისი მტერი.

იმ ექიმების რჩევით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ორმოცდამეცხრე წლის ჯონ როკფელერის ჯანმრთელობას, გამოსცნენ განეთის სპეციალური ნომერი, რომელშიაც ისეთი წერილებია მოთავსებული, რომლებიც მოხუც მილიონერში უსიამოვნებას არ გამოიწვევს. განეთში სწერია, რომ ყველგან მშვიდობიანობა, უმუშევრები აღარ არიან. ეკონომიური დეპრესია გათავდა, „კომუნიზმმა საბჭოთა კავშირში მიიღო „ამერიკანული“, რომ აღმოჩენილი იქნა საშუალება კიბოს მომრჩენისათვის და სხვ.

ჯონ როკფელერი ამის შემდეგ განიკურნება? უმეგვართა გაფიცვები არ შეაწყუბებს? გამოცდილება ეგებ იმას ძველი გუნება და ღარიბთ ლატაკთ თავის კოშკი კარებს გულებს? დე, ბატონ ჯონის ექიმებმა კარებს გაუღებს? დოლარებს ტყვიად ზომ არ მისცემს მათ როკფელერი? რა ანუზდაც არ იჭიკჭიკონ და არ იმღერონ, ჩვენ კარგად ვხედავთ მათ სახეზე აზის მკვდრის ფერი.

ამერიკაში ჩარლი შეფორდმა სიმბინ-ჯის კონკურსში პირველობა მიიღო იმუშაო იგი მოგზაურობს და ღებულობს პრემიებს სიმბინ-ჯის სხვადასხვა კონკურსში. იგი ამყობს, რომ იგი არის ყველაზე უფრო მახინჯი მთელ ამერიკაში და მზად არის დაიცვას ჩემპიონის ეს სახელწოდება.

აქ რა არის გასაკვირი? ასეთია კაპიტალი. მას ასეთი გმირი შვილი ყოველ მხარეს ჰყავს მრავალი. მანვე შობა თავის მსგავსი, გამოზარდა თვის შობილი, და არ არის გასაკვირი, როცა მშობელს უყვარს შვილი.



— ალბათ მხინი რადიო-მსმენელი. ბი არიან, რომ ყური არცმართს არ შემჩენიათ.

აროს და ბევრი ღვინო არ დააღვინოს. აი, ამიტომ უნდა ვიყო მე და არა შენ! ბიკენტის ეს ირონიულ-სერიოზული დებულება ტაშით იქნა მიღებული.

ბევრი სადღეგრძელო დაილია. ყველანი შევზარბოდიშით. ერგასის სადღეგრძელომაც მოაწია.

— მეგობრებო, — და ბიკენტი, თამადა, ფეხზე წამოდგა, — თქვენ ხართ ჩვენი ოჯახის კეთილები და კარგის მსურველნი. დღევანდელი ჩვენი წვეულება უნივერსიტეტად და აკადემიად უნდა მიიღოს ჩემმა შვილმა და თქვენმა მეგობარმა ერგასიმ. მეგობრებო, ერგასის თქვენ კარგად იცნობთ, მაგრამ მე თქვენზე უკეთესად ვიცნობ. ყოველმხრივ კარგი ყმაწვილია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შვილია. მაგრამ გრომ-კაპიტად არ ვარცხ. კაცი მისგან არ გამოვა, თუ მან თავი არ დაანება სმას, თრობასა და ლოთობას. დიან, ლოთობას, ნუ კი შეწუხდები შვილი ჩემო. ხშირი თრობა იგივე ლოთობაა. მე გისურვებ ჩემო შვილო, რომ ჭკუა გქონდეს, სერიოზულად დაფიქრებულიყო ცხოვრებაზე და ხელი აეღოს თრობაზე. ეს არის ჩემი სურვილი შენი კეთილდღეობისათვის! — თქვა და საყუდელში პირზე მოიყუთა.

ჩვენც სტუმრებმაც ამ განზრთ ვადღეგრძელოთ ერგასი. ერგასის ცოტა მოწყენილობა დაეტყო (ალბათ იმოქმედა ჩვენმა სიტყვებმა) და სადღეგრძელოს სამადლობელი სასმისი ბოლომდე არ დასცალა.

— აბა, აბა, მაგთები არ იყოს! — შენიშნა მას თამადა და ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა, რაც მისი ნიშანი იყო, რომ ერგასის უნდა გამეცლა. — შენ თუ არ დაღვც, სტუმარმა როგორ დალიოს? ბერიკაცი თუ კი ვსვამ, ახალგაზრდას რა მოგივდება?

ბოლოს „სამშენებელი“ დავლიეთ.

— მე ვამაყობ ჩემი მშობლებით. — ამბობდა სადღეგრძელოს ერგასი. — მაგრამ არ შემიძლია არ ვუსაყვედურო მამაჩემს. მე მგონია, რომ მის ჭაღარას არ მსგავსენის გადამეტებული ღვინის სმა არ შეშვენიის არც მის პროფესიას. მასწავლებელია, ახალი თაობის აღმზრდელია. მე ვუსურვებ მამაჩემს ჯანმრთელობას, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ღვინის სმას უკლებს. ეს იქნება ბოლო უდიდესი პატივისცემა მისგან ჩემი ძვირფასი დედის მიმართ, რომელსაც მეტად აწუხებს მამაჩემის გადაჭარბებული სიყვარული ღვინისადმი! — და შვილი ალავერდით მამასთან გადავიდა.

— ეჰ, ყოველთვის ასეა, ერთმანეთს ასწავლიან ჭკუას და ისევ განაგრძობენ ამას! — გადმოვილაპარაკე დიასახლისმა.

— ოჰ, ოჰ, ბერიკაცი, — ხუმრობით შენიშნა ჩვენს მთვრალ მამას, რომელსაც უნდოდა ღვინის „ნოპარეა“ სასმისი არ გაეცლა, — შეიქნე მაგ სასმისი, შეიქნე!

— ჰა, შენ გგონია მე მთვრალი ვარ! — და ბიკენტი ისე გააქსო სასმისი, რომ ღვინო სუფრაზე დაიღვარა.

ისელი

განდიტ ალ კაპონეს „მეცნიერული თეორია“

ცნობილმა ამერიკელმა ბანდიტმა ალკაპონემ გამოსცა წიგნი „ვაშიში და რევოლუცია“, რომელშიაც იცავს „ამერიკულ ცივილიზაციას“ წითელი სიკვდილის წინააღმდეგ („განდერედი“ პარიზი).



ამერიკელ ბანდიტების ერთერთი ჯგუფის ბელადი ალ კაპონე ქალაქის განაპირა უბნის რესტორანის კაბინეტში სუფრას მოსჯდომოდა და თავის ამქრებთან დაბალი ტონით საუბრობდა.

ამ დროს ვილცამ კართან ზარი ააწვრიალა. ერთმა ახალგაზრდა ბანდიტთაგანმა, რომელიც შორეულ პროვინციიდან ჩამოსულიყო, იარაღზე ხელი გადასცა, მაგიდას მოეფარა და პოლიციის შესახვედრად მოემზადა.

— მე ვარ, ჯონ პრაისი! — დაიძახა კართან მოსულმა უცნობმა.

დამხმარებმა კარი გააღეს და მათ კაბინეტში თანამონაწილე ჯონი შემოუშვეს.

— მე კი პოლიცია მეგონა და საომარ წესზე მოვეწყე — თქვა ახალგაზრდამ.

— ცდები, მეგობარო! როდის იყო, რომ დემოკრატიული ამერიკის დემოკრატიული პოლიცია ჩვენ, პატიოსან ბანდებს, გვდევნიდა?

— არასოდეს! — წამოთქვა ერთმა.

— პოლიცია ჩვენთვის სად მოიცილის? ის მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგო ბრძოლაშია ჩაბმული — განმარტა მეორემ.

— არც მოიცილის. როდის იყო რომ პოლიცია ჩვენ გვაგვიწოდებდა? ჩვენ ხომ რევოლუციონერი მუშები, კომუნისტები არა ვართ? ჩვენ უბრალო ავანაგები ვართ და მეტი არაფერი! — განმარტა მესამემ.

— მართალია, მაგრამ სიფრთხილეს, თავი არა სტკივა. შენიშნა პიერიმ, რომელიც ბანდიტების ბელადის ალ. კაპონეს მარჯვენა ხელი იყო.

— სწორია, გეთანხმები! — წარმოთქვა კაპონემ. ღვინით სავსე ჭიქას ხელი წაავლო და დაიძახა: — გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას! გაუმარჯოს ჩვენს ამერიკას რომელსაც ყვეს ისეთი პოლიცია, როგორც არავის მთელს ქვეყანაზე.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — გაისმა შეწყობილი ხმა.

მაღე ჭიქები ისევ აივსო და კაპონემ ისევ დაიძახა: — გაუმარ-

ჯოს ჩვენს პოლიციას. ჩვენი ქვეყნის ფზიზედ მშობლურ პოლიციას!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — შესახეს ისევ დამსწრეებმა.

დაცლილი ჭიქები ისევ აივსო — ბელადმა ისევ დაიძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს სუფთა ხელობას!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — გამოეხმაურენ დანარჩენები.

ბელადის თანაშემწემ ჭიქა აიღო და მათი სუფთა ხელობის აადიდებდნენ წარმოთქმის შემდეგ დაუმატა:

— დღევანდელმა გაზეთებმა ცუდ ხასიათზე დამაყენეს. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მოძრაობა თანდათან იზრდება.

— გაიზარდოს, მერე ჩვენ რას ვკარგავთ? — შენიშნა ახალგაზრდამ, რომელიც მათ ჯგუფში შორეული ქვეყნიდან იყო მოსული.

— როგორ თუ რას ვკარგავთ! ნახე გაზეთები და თუ არ იცი, მაშინ შეიტყობ. საბჭოთა კავშირში მთელი საზოგადოება პატიოსან მშრომელთა ოჯახს წარმოადგენს. იქაური ხელისუფლება გაუსწორებელ ქურდებს, მცარცველებს, ყაჩაღებს და გაიმეურებს ანადგურებს. ნახე მათი კანონი და გაიგებ ჩვენ თუ არ გვცხება.....

— სწორია.... ჩვენ დავიღუპებით, მათებური წესი, რომ ჩვენში დამყარდეს.

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ.

— უნდა ვიბრძოლოთ ორგანიზაციულად, უნდა ვიბრძოლოთ!

ამ „საიდუმლო სერობიდან“ ერთი თვის გასვლის შემდეგ ამერიკის გაზეთებსა და წიგნების საფაქრო ვიტრინებს „ამშვენიერად“ ბანდიტების ბელადის ალ კაპონეს წიგნი

„ვაშიში და რევოლუცია“

წიგნი თავდებოდა ასეთი მოწოდებით:

„ბოლშევიზმი უკვე კარს მოგვდგომია. ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიკარება. ჩვენ მას კარი მაგრად უნდა დავუკრათ. ჩვენ უნდა შევკავშირდეთ და ამ საშინელ საფრთხეს თავი დავადწიოთ. ჩვენ მტკიცედ უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლოს თვისუფლება. ჩვენ უნდა ვიხსნათ ამერიკა დაღუპვისაგან... ჩვენ უნდა დავიფაროთ მუშები წითელი მახისაგან.“

ეს წიგნი ახლაც ამშვენიერებს წიგნების მაღაზიების ვიტრინებს... ამერიკულ ვაშიშის იდეოლოგი ბანდიტი ალ კაპონე კი ქალაქის ცენტრის უფრო დიდ რესტორანის უფრო ვრცელ კაბინეტში თავის ამქრებით კვლავ მაგიდას უზის და უფრო ხმამაღლა და მეტი ენტუზიაზმით გაიძახის:

— ძირს ბოლშევიზმი! გაუმარჯოს ჩვენს სუფთა ხელობას!

მ—ზა

ბილიარის ჩაგვიონები

ნან. ლომიძის



არის შემთხვევები, როცა ბაჭოში ვაჟი, გზავს საბარგო ვაგონს ტფილისიდან ჩა. შტრში ავზავნიან.

საბარგო ვაგონების „რასიონა-ლური“ გამოყენება ზოგადი ტრა-ნსპორტების მიერ.



პანმაროვი



ფეატუბოვი



კოვოროვი



კოვოლუბოვი

— მაშ მე საშინაო არაფერზე ვაფიქსირები —
— რატომ?! ეს ძალიან მძიმე საკითხია —
ფოხაძე, მებრძოლ, რაკეტა სპეციალისტის ნიჭი
მეზღვრებოდა, ნულარაფრის უკმინიათ. უსათუოდ
მოგარჩინათ.

ათი-სუთიმეტრი წამის შერმდეგ ჩემი მეგობარი მეოთხე ექიმს ელაპარაკებოდა. ეს უკანასკნელი კუჭის სპეციალისტი აღმოჩნდა და აფრასიონის დაავადებაც უმაღლესი კუჭის ავადმყოფობად მონათლა.

— კუჭი არასოდეს არ მტკივებია! — ვაიჭკირვა აფრასიონმა.

— ჭნახოთ... გულის კოვზთან არასოდეს არ გიგრძენიათ სიმძიმე?

— არა.

— გულის რევა იცით?

— არა.

— !

— აი, ვთქვამთ, რაიმე შეშინებულის გამო
მოკონებულის ზეთი შესვით-ან დამალვი თევ-
ზი შექანით... დავიჯერო, რომ გოგონა არ აგე
რევით?

- რა თქმა უნდა ამერეცხ.
- წამოგაშლოყინებთ პოლიცია არა?
- დიას.
- დიას რა პოლიცია აცადიყოთობა? ეს არის. განა უსათუოდ უნდა ატყვივდეთ.
- არც ვრთ ექიმს არ უთქვამს ჩემთვის რომ, მე.....

— ყველა დარგს თავის საეკიპაღისტი ყავს, და თქვენ ღმერთს მადლობა შეჰსწირეთ, რომ მთლოს მაინც მოხვდით ჩემთან. დაგვიანებოდა (ყოჩაბით უსათუოდ გაართულა მდგომარეობა, მაგრამ "ისევ გვიან სჯობს, ვიდრე არაფერს არასოდეს". ნუ გეშინიათ: მალე კარვად გახდებით.

*
**

შემდეგი ეჭვი გულის სწეულებთა სპე-
ციალისტი გამოდგა. მან აფრასიონის მდგო-
მარეობა გულის დაავადებას დაუკავშირა.

— სხვა ორგანიზაციებში ვერა გაქვთ სასესიო
სახლი, მაგრამ თქვენში ძირითადი ავად-
მყოფობა მაინც გულის მანკია. გული ამოძ-
რავის ადამიანის სისხლს და ვანა გასაკვი-
რია, რომ გულის დაავადების შემთხვევაში
სხვა ორგანიზაციებში განიცდიან ავადმყოფო
თავის წესდების საფრთხელს.

დღისათვის. ყოველთვის სათანადო რომ დავიფიქსავ, დილაობა რა დააბრუნებს? გულმა თუ სისხლი მიამწოდინა, ვთქვათ, კოჭს, გინდ, ფილტვებს, ესენი როგორღა იმოშავეებენ? ჩვენი ექიმები, სამწუხაროდ, ხშირად ივიწყებენ ამ არეშობას. სხვადასხვა ორგანოების ავადმოთქურ, მდგომარეობას ისინი კარგად არკვევენ, მაგრამ გულის მნიშვნელობას დიდ ყო-

სადღებებს არაჩვევრენ და ასეთი დაუდგერო-
ბის გამო — ხშირად საქმეს აფუჭებენ. ავი-
ნით თქვენი მაგალითი: რაც უნდა ეუწყამ-
ოთ თქვენს კუჭს, აქედან დიდი არაფერი გა-
რება. თუ გულის არ მიეაჩვევით მთავარ ყუ-
ბადობებს, გულის მოშობადა უნდა ჩაეყენოთ
თქვენს კუჭს კალაპოტში და ამით კუჭის მდგო-
რეობასაც გამოუკეთებთ.

— გულის ეშველება, რამე ბატონო
ჩემო?

— რატომ არა? თქვენი პულის მდგომარეობა არც ისე უნუგეშია. მხოლოდ ერთი

რამ ნუ დაგავიწყდებათ: უგულოდ კაცს სი-
ცოცხლე არ შეუძლია. ხოლო ავადმყოფის
გულის მორჩენა მხოლოდ გულის სწეულობა-
თა სპეციალისტის საქმეა.

აფრასიონმა ფსიქიატრი ექიმიც მოინახუ-
ლა.

ავადმყოფის ჩივილის მოსმენის შემდეგ
ექიმი შეეკითხა:

— მაშ მენსიერების სისუსტეს არ უჩივით?

— არა!

— ძალიან კარგი... შეიძლება, ეს მითხ-
რათ: როდის გარდაიცვალა ჯუზეპე გა-
რიბალდი?

— არ ვიცი ბატონო!

— თქვენ კი გგონიათ, რომ ძალიან კარ-
გი მენსიერება გაქვთ. — როგორ გძინავთ?

— კარგად!

— მთელ ღამეს ისე გაატარებთ, რომ
ერთხელაც არ გაგელვებდეთ?

— ზოგჯერ გამეღვიძება.

— საქმეც ეს არის. ნორმალური ძილი
არა გაქვთ. თქვენ კი ამას ვერ ამჩნევთ. —
აფექტიურ მდგომარეობაში მოდიხართ?

— არა.

— გულის მოსვლა არ იცო, კაცო?

— ვიცი მაგრამ ისე არა, რომ...

— წარმოვიდგინოთ — თქვენ ჭუჩაში მი-
დიხართ. მოსახვედში ვილაც გამოვარდა და
სილა გაგაწნათ... არ გაჯავრდებით?

— მიკვალბული კი არა ვარ, ბატონო.

— თქვენ კი ამტკიცებთ — აფექტიურ
მდგომარეობაში არ მოვლივარო.

აფრასიონი შიშის ქარმა აიტანა.

ფსიქიური ავადმყოფობის ყველაზე ნაკ-
ლებ ეშინოდა, ფსიქიატრის მისაღებ ოთახ-
ში იმ რწმენით შევიდა, რომ იქიდან მაინც
სრული დამშვიდებული გამოვიდოდა. ეს ასე
საჭირო იყო მისთვის ამდენ საშინელებათა
მოსმენის შემდეგ. ფსიქიატრის ქცევა აშკა-
რად ამტკიცებდა, რომ აფრასიონის იმედი
არ გამართლებოდა. ნუ თუ ფსიქიკა დაზიან-
ებული აქვს აფრასიონს? ამ კითხვის დაბა-
დებამ ძალაუნებურად წამოაყდრა:

— ფსიქიური ავადმყოფი ხომ არა ვარ
ექიმი?

მუდამ აუღელვებელმა ფსიქიატრმა ის
დაამშვიდა, დააწყნარა და დიხად განუმარ-
ტა, რომ მას, მართალია ერყობა სულიერი
აშლილობის ნიშნები, მაგრამ მდგომარეობა
უნუგეშო არ არის და ავადმყოფი სასოწარ-
კვეთილებას არ უნდა მიეცეს.

— იწამლებთ და კარგად გახდებით. დაა-
ბოლოვა მან აფრასიონისადმი მიმართული
სანუგეშო სიტყვა.

— რამდინ რას უნდა ეფუძნო?! ჟიმე-
დოდ აღმოჩნდა აფრასიონს, სხვათაშორის უნ-
და გითხრათ ანუგეშა ის ფსიქიატრმა, —
თქვენ არც გყოლი გტყვიათ, არც ფილტვები
და არც რომელიმე ორგანო გაქვთ და-
ზიანებული.

— მაშ რა?

— მოითმინეთ. თქვენ სულიერი აშლილო-
ბის ნიადაგზე იპოქონდრიული იდეები გაქვთ
განვითარებული და სრულიად უსაფუძვლოდ
გგონიათ, რომ ავად ხართ.

აფრასიონს საბოლოოდ აებნა დავთარი.

— სპეციალისტებმა გამოაკვირეს, ბატო-
ნო ექიმი. — ჩაწყვეტილი ხმით ამოილაპარა-
კა მან.


— მე გარწმუნებთ, რომ თქვენ არა გაქვთ
არავითარი სომატიური დაავადება. სულით
ავადმყოფი ბრძანდებით და ამ მიმართულე-
ბით უნდა გადავსტრათ ერთი საკითხი: რის-

აგეილოვ და ეთერი სღვ. ჯუღალის გუფანში

ნახ. დანარკ

მარიკეშლი

გიგუნიშვილი



მზავარი: — ჭიქა ჩაის მოტანას

ხომ არ უნდა, ქალო ნოტა.

მომიტანდე, შემასმევდე

მოვჯობინდე ეგებ ცოტა.

მსახური: — მგავარი არის მეტად ბევრი.

ჭიქები გვაქვს სულ კი ოცი.

ჩაი ზეგ რომ მოგიტანო

აქ რა არის გასაოცი?

განაა გამოწვეული თქვენი ფსიქოზი. სემა-
ლით?

— არასოდეს არ მისვამს.

— ათაშანგი გჭირდით?

— არა.

— საეჭვოა?

— დასაძალი რაა, ბატონო ექიმი.

— ხშირად ათაშანგი ისე მიმდინარეობს,
რომ ავადმყოფმა არც კი იცის თუ ასეთი
საშინელი სენით არის შეპყრობილი.

— მაგის რა მოგახსენოთ.

— დაახ... მაგრამ ამის გამორკვევა არც
ისე ძნელია, ლაბორატორიაში მიგიწერთ. ზე
სისხლს გაგისინჯავენ და საკითხი საბო-
ლოდ გამოირკვევა.

— რომ არ აღმოჩნდეს?

— მით უკეთესი. მაშინ გაცილებით უფრო
საიმედო იქნება თქვენი მდგომარეობა. სიფი-
ლიტიური ფსიქოზი, თითქმის ყოველთვის
ცუდად თავდება.

სანამ ლაბორატორიას მიმართავდა აფრა-
სიონმა უმჯობესად დაინახა ვენერიულ
სნეულებათა სპეციალისტთან. შესულიყო.

მცირე გამოკითხვის შემდეგ ექიმმა ნიდაყ-
ვისა და კისრის ჯირკვლები გაუსინჯა და
სპეციალისტის სერიოზულობითა და წონით
წარმოსთქვა:

— ჰმ... და! ფარულად მიმდინარე ლუესის
აშკარა სურათია.

— სისხლის გამოკვლევა საჭირო არ არის,
პატივცემულო ექიმი?

— თუ გნებავთ გამოაკვლევიანთ, მაგრამ
დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რად-
განაც სურათი ისედაც ნათელია.

იმედს ადვილად ვერ გადაიწყვიტს ბედით
განწირული ადამიანი. რაც უნდა აშკარა

იყოს საშინელი სინამდვილე, გაჭირვებაში
ჩაგარდნილი კაცი მას ადვილად ვერ ურიგ-
დება და უკანასკნელ შესაძლებლობამდე
ცდილობს განსაცდელს პირდაპირ არ შეხე-
ლოს.

— სისხლს მაინც გავასინჯოვნებ! — გადა-
წყვიტა აფრასიონმა და გამაღებელი ნა-
ბიჯით გასწია ლაბორატორიისაკენ.

— რატომ არ შეიძლება ვენეროლოგი მო-
სტყუოდეს? განა სპეციალისტები არ სტყუე-
დებიან? გარეგნული გასინჯვა თუ საკმარისა
იყოს, ლაბორატორიებს რაღათ აავებდენ? —
ინუგეშებდა თავს აფრასიონი, მაგრამ მის
გონებაში ერთხელ შეჭრილი შიში მაგრად
მოკალათებულიყო და იმედის მცირე სხივს
გაშლის საშუალებას არ აძლევდა. ხან იმედი
გადასძლიებდა ხან სასოწარკვეთილება და
აფრასიონის ნაბიჯიც ამის მიხედვით იცვლე-
ბოდა.

ღრმა ფიქრებში გართული კაცი ირგვლივ
ვერაფერს არჩევდა, დაბრკოლებებს ავტომა-
ტიურად უფლიდა და უკანასკნელ მსაჯულო-
საკენ მიისწრაფოდა, ჩქარა დალია ვერის
აღმართი, ლენინის ქუჩით რუსთაველის
პროსპექტზე გავიდა და როცა ამ უკანასკნე-
ლის მარცხენა მხარეზე გადადიოდა, გაქანე-
ბულ ავტომობილს შეეჯახა... და ეს ისე
სწრაფად მოხდა, რომ აფრასიონმა შეშინე-
ბაც კი ვერ მოასწრო.

მეორე დღეს გაზეთების ქრონიკაში წერი-
ლი ასოებით ეწერა: „ავტომობილის მსხვერპ-
ლი: გუშინ ნაშუაღლეის სამ საათზე რუს-
თაველის პროსპექტზე ავტომობილმა გაიტა-
ნა შეუჩინის მამაკაცი. დაშავებული უგრძო-
ბელ მდგომარეობაში გაგზავნეს ქალაქის
პირველ საავადმყოფოში, სადაც ის მალე
გარდაიცვალა.“

შორებელი.

№306 უკვე დიდი ხანია, არსად აღარ ვართ მიმგვრებულნი. ეს საჭმე ჩვენში ისტორიას ჩაბარდა. ვაჭრობა თავისუფალია, სადაც გინდა რამდენიც გინდა, როგორიც გინდა ისეთს იყიდი. დღეს აქ იყიდი, არ მოგვეწონება, ხვალ სხვანაირი იყიდი.

მაგრამ ნოდარ პავლიაშვილი მაინც ტფილისის კვებავაჭრობის №45 პურის სავაჭროში იყო მიჩვეული.

— აბა, ვასო, კილო კარგი პური!
— ინებეთ, ამხანაგო! — ფიცხლავ უბას ქხებდა ვასო მელიქიძე და პურს უწონდა.

საკმაო ხანს გაგრძელდა ასე. ერთ დღეს ნოდარმა კვლავ ააწონია პური და თვალში ეცურება. წაიღო მეორე მალაზიაში ასწონა და აღმოჩნდა, რომ ვასოს კილოზე 80 გრამი დაეკლო.

— რა ფუყოთ, ხუთი ლუკმა პურია! — გაიფიქრა ნოდარმა და გზას გაუდგა.

მეორე დღეს მას მელიქიძისათვის აღარ მიუძღრათვს. მეორე გამყიდველს — ბენია ბურჭულაძეს ააწონია.

— მაგ ბიჭს აქებენ, პაციოსანიაო! — თქვა ნოდარმა გამოსვლისას. გულმა მაინც არ მოუთმინა, მეორე მალაზიაში შეუხვია და ასწონა.

— შევირცხება თავი! — წყენით თქვა ნოდარმა ბენიას მისამართით, რადგანაც კილოს ახლა უკვე ასე გრამი აკლდა.

მესამე დღეს გვერდი აუხვია №45 სავაჭროს და №12 წერტს მიადგა. შიგ გამყიდველი პეტრიაშვილი იდგა და რიხიანად ვაჭრობდა.

— აბა ერთი კილო პური!

— ინებეთ, მოქალაქე! — ომხიანი ხმით უპასუხა მიხეილმა და მიაწოდა კილო პური, რომელსაც შემოწმებისას ასოცი გრამი დააკლდა.

— საკვირველი ამბავია! — თქვა ნოდარმა და გადასწყვიტა, გარდა ტიგრან ახვლედიანისა, არავისგან იყიდა პური.

— ტიგრანჯან, — ეუბნებოდა მეხუთე დღეს იგი ახვერდოვს, — ორი კილო კარგი პური ამიწონე. გამატყავებს იმ უსინდისოებმა.

— აი, გენაცვა, ვასკა პური, შევარგოს! — მიუალღვრსა ტიგრანმა და პური გადასცა.

ნოდარი დარწმუნებული იყო ტიგრანის პაციოსანებაში, ამიტომ ზემოსხენებულ №45 სავაჭროში შეუხვია და მელიქიძეს და ბურჭულაძეს მიმართა.

— თუ ძმა ხართ, ერთი ეს პური ამიწონეთ, თქვენს ტიგრანასთან ვიყიდე. ენახო, ორი კილოა თუ მეტი?

ვასომ და ბენიამ ჩაიცივნეს. იმ წუთშივე აუწონეს და აღმოჩნდა, რომ ორი კილოს სამასი გრამი აკლდა.

— თითქმის გირვანქა დაუკლია შენს ტიგრანს! — მიამახეს ნოდარს, რომელიც ბრაზისაგან გაწითლდა.

— ალბათ გზაში გაშრებოდა ეს პური! — თქვა მან და თავის უნებლიედ გასწორ ქოლად რომელიც წვიმისაგან სრულებით გაწუნწული იყო (გარედ კოკისპირულად წვიმდა).

— ალბათ, ალბათ! — ირონიით თქვენ გასომ და ბენიამ და თავისი საჭმე განაგრძეს.

დამძარული გამოვიდა პავლიაშვილი ტფილისის ფელდშერის №86 წერტში შეუხვია. ერთი კილო კაკლის მურაბა იყიდა. იმდენად გაეჯავრებული იყო, რომ ვერც კი შეამჩნია, ნოქარმა ნიკო პაპიანმა კილო მურაბაში რგა და ათი შაურის ნაცვლად. ცხრა და ათი შაური რომ გადაახდევინა.


ამის შემდეგ მან სევტიან ჩარგეიშვილს

გაუარა №128 სავაჭროში, ბოთლი ძმარი იყიდა მანეთანხვერის მაგივრად ორნახევრი მანეთი მისცა და წავიდა. გზაზე გაახსენდა, რომ სახლიდან ლიმონადი დააბარეს, არცელ „ონარში“ შიიდა და სამი ბოთლი ლიმონადი იყიდა.

— რამდენი გვრგვბათ?

— ოთხი და ათი შაური, — აღუშფოთებლად მიუგო ნოქარმა დიმიტრი კველიშვილმა და ბოთლზე ცხრა შაური „დაარიცხა“. ნოქარს ახრადაც არ მოსვლია, რომ ოცდაშვიდი შაური ზედმეტი მისცა. მაღლობაც კი გადაუხადა კველიშვილს.

აქედან არცელ „ყაზბეგში“ ლუდი დალია. შეამჩნია, მაგრამ აღარაფერი თქვა, როცა ჩამომსხმელმა რუბენ ბემთუმაჯიანმა მას ერთი ჩაის ჭიქა ლუდი დააკლო და სახლისაკენ გასწია.



— ჩამოდი ძირს ზე პურად, შენა. საათის მოკარგა გინდა?
— არა, ამოვიღე, მინდა გავიგო როგორი საათია, ამვიღე არ მოჩანს.

ასეთი ამბები ხშირად მეორდებოდა, უკვე დაინტერესებულმა და უკვე ნათქვამი ლეზელმა ნოდარმა შეამჩნია, რომ პურის ცოტათი თუ ბევრად აკლეს ნენ-გამყიდველები: დავით ფოფხაძე, სტეფანე დედუჩიშვილი, სტეფანე ბაბიანი, აკაკი დაუშვილი, პიროვილე ბუზრაშვილი და ქალებიც კი: თამარ გოგინასიძე, მარგარიტა არუთინოვისა, კატუშა პაპავა დ სხვები.

რაც შეეხება ლუდის გამყიდველებს: ნერგო ვაშაიძეს, ნ. ალიბეგაშვლს, ისმაილ აირაძეს, ოპანეს ტერტეროვს, გალო გორგოლევიშვილს, ლევან კანკაყას და სხვებს, იგი საათობრივ უტყუროდა, როგორ თვალდახვლულა აყენებდნენ ქაფებს ეს „მუშაკები“.

მოთმინებიდან გამოსული ნოდარი ძირითად კონტროლის ჯგუფში ჩაეწერა და სადაც კი წახელებდა, კუთით ქვას ასროლინებდა ამ გამყიდველებს.

პირველად ტყიბულის „ორს“ ესტუმრა.

— ქალის წინდები მომეცით. რა ღირს? ათი მანეთი აბაზ ხაყლებ? კეთილი! — და ფული გადაიხადა. მღაზის გაბგე სილოვან ბოქორიშვილი მეტად კმაყოფილი დარჩა, რომ შინაურებს გარდა უცხო მოსხმარებელი გააცურა და ხუთი მანეთიან წინდაში ათი გამოართვა.

— ტყიბულიდან ნოდარი სოფელს ესტუმრა. აბაზის რაიონში ჩავიდა და სოფელ კეზათის კოლხასადილოში (იგივე ბაკალეია) შევიდა. ნოქარი მიხეილ ქობულა და გამგე ნიკოლოზ მონიავა ახლაც ტრაბახობენ, რომ ქალაქიდან ჩასულ ნოდარსაც კი ორმაგ ფაში მიჰყიდეს მათ პროდუქტები, მათ შორის ღვინოც.

ნოდარი გეზათიდან ტფილისს გამოემგზავრა, მაგრამ კავთისხევის სადგურთან რომ მოაწია, ძველი ნაცვობი მოაგონდა. ჩამოხტა და აოფელ კავთისხევის ცენტრისაკენ გააწია:

„კავთისხევის მივდივარ.
ღირს გავატარებ,
დედის ერთა ვარ,
ხუ გამამწარებ...“

ნოესმა მას კავთისხევის ინჟალიდთა საადილოდან, შიგ შევიდა.

— ერთი უყურე! ნამიდილად ძველი სამიკიტოს ტიპია, — ჩაილაპარაკა ნოდარმა, როცა ჭოჭყიან მაგიდებს შეხედა. სუფრებს პირვანდელი ფერი დიდი ხანია დაეკარგათ, რადგან ამათ ერთი წლის გაურეცხავი იყვნენ: ჭიქებზე ახალწლის ქონი ეცხო, ხოლო სარკმლები შარშან მიცვალებული ბუზების გვამებით იყო შეწინწკლული.

უცხო პირის დანახვაზე სასადილოს გამგე საჭო ქსოვრელი ზეზე წამოდგა, სტუმარს სამი ღლის ბოზბაში მიართვა, შიგ ექვსი მანეთი აიღო და თეფშზე დარჩენილი კერძი ისევ იმ ქვებში გადაუდგახა, საიდანაც ათიოდ წუთის წინად ამოიღო.

წამოსული ნოდარი კასპის ცემენტის ქარხნის სასადილოს შესვეტურებს — თედო ჯავახოვსა და ჯანვერდაშვილს ჩაუვარდა ხელთ ამ ამხანაგებმა გულმოსულ ნოდარს ჭიქა ათშაურიან არაყში მანეთის ნაცვლად ორი მანეთი გადაახდევინეს.

ნოდარი აქედან ქალაქისაკენ გამოემგზავრა.

3. ონტოფილი


რ ა ყ რ ფ ი ლ ა?

ილუსტ. ლუჩიისი



ცეცხლის ალი ავარდა,
სახლს გაუჩნდა ხანძარი
ვერ აქრობენ, დაესხა
ყველას შიშის თავზარი.
პატრონი ხდვას ამაყად
იგრეკაძე მირიან

მისი პოზა ყველასთვის
უცხო, გასაკვირია
განცვიფრებით ამბობენ:
რა ყოფილა მირიან?




რა ყოფილა მართლაც ეს მირიან
იგრეკაძე, რომ ასე ადვილად ურიგ-
დება თავის ქონების დაღუპვას?
ამას ბოლოს გავიგებთ. განვაგრძოთ.

ბევრი ჩადის საფლავში,
მრავალს მზე უღამდება.

ბევრს უნდება საფლავი
სამარტელ და მშობლად
ბევრი ხტოვებს შვილებს, ცოლს
უპატრონოდ, მობლად.

ყველას სახეს ეკეზნის
აჩრდილი ეფარება,
გულის კი მირიანისას
შიში არ ეკარება.

ქვის გული ზამ არა აქვს:
მართლაც გასაკვირია?
რა ყოფილა ასეთი
იგრეკაძე მირიან?



ლიახ, მირიანს არ აშინებს არავი-
თარი სტიქიური უბედურება, რა-
ტომ? ამას შემდეგ დავინახავთ, გან-
ვაგრძოთ.

ერთ დროს ჩვენი მირიან
იყო როგორც მღვდია,
ენლა რაღაც შემთხვევით
ლონცე გამოღვდია.

მაგრამ მაინც ლალია
არ შესცვლია იერი,
აწი ელის ცხოვრება
ახალი ნებიერი.

აწ შენც იტყვი მკითხველო:
— მართლაც გასაკვირია,
გაშაცანიტ ვინ არის,
იგრეკაძე მირიან?



უცებ გაჩნდა, გავრცელდა:
ტიფი, სურდო, ანთება.

გულის არ იტებს თითქოს ის
უძლეველი გმირია.

განცვიფრებით ამბობენ:
— მართლაც გასაკვირია,
რინის გული ქონია,
რა ყოფილა მირიან?

წყალდიდობა მოვიდა
წყობის ხშირი ნალექი,
ემუქრება ყველაფერს
მოტაცებით წალეკვით.

ხაფრთხეს ელის ხულყველა
შეცვლილი აქვთ ფერია,
მაგრამ იგრეკაძესთვის
ესეც არაფერია.

**ვინ არის ეს შეგნებყოი, წინასწარყოი მოქალაქე, რომელმაც რაზოვევა თავისი
სიუყოყნოო ყოვეროვარ ყბერიყრი შემთხვევისგან.
თქვერს შეგიძლიათ მიგამოთ მირიან იგრეკაძეს.**

თავისთავად გარდაეცა შენაღონ დაჯალმონი თანისონ
...
საკრებო ინსტიტუტის დაჯალმონი შენაღონ დაჯალმონი
...
საკრებო ინსტიტუტის დაჯალმონი შენაღონ დაჯალმონი

10.000
...
5.000
...
10.000

ბაღლინჯო მოხსენებელი

ზოგ მოლაყბეს წისაღა აქვს:
ხელთ დაიხვევს სხვის ნაკოს მკირეს.
უცნოს თვალში რომ ბეწვს ამჩნევს,
თავისაში ვერ სჭვრეტს ღირეს...

რწყილებს ჰქონდათ კლუბი ერთი,
(საკუთარი გახლდათ მათი)...
და ამ კლუბში შეიკრიბნენ
მწერნი, რიცხვით ოთხი-ოც ათი.

დღისწესრიგში იყო მხოლოდ
მოხსენება ბაღლინჯოსი.
რეგლამენტი დაუნიშნეს,
შესთავაზეს წუთი ოცი.

ესწრებოდნენ: რწყილნი, წილნი,
მათნი ძმანი და სხვაც ბევრი
პარაზიტთა ნათესავნი,
პარაზიტთა მეზობელნი...

აქ ბაღლინჯო დამსწრეთაგან
ყურადღებას ითხოვს მკირეს,
აწყრილდა ერთწამს ზარი
და შემდგომი
მოისმინეს:

— ჩემი სიტყვა შეეხება
ნისუფთავებს, ჰოვინას.
ამას გარდა სხვა რა არის
გვაწუხებდეს ახლა ჩვენა!
მეზობლებო, არ მიიღოთ
თითქო თქვენი ვიყო მტერი,
ვამბობ მხოლოდ, რომ თქვენს შორის
უსუფთაოდ ცხოვრობს ბევრი.
აი, ერთ რწყილს, მაგალითად,
ამასწინად შევასწარი:
შმორის სუნი ასდიოდა,
დაუბანი ჰქონდა ტანი...

ასეთი კი ერთი არ გყავთ,
ჩამოვითვლით, გნებავთ, მრავალს:
თქვენს მეგობარს,
თქვენს ნათესავს,
თქვენს მეზობელს,
თქვენთან მაგალს.

და ეს როგორ შეიძლება!
გეკითხებით, ეს რა არი?!
სირცხვილია: სცოცხლობდეთ და
ზგდიოდეთ სუნი მყარალი...

რეგლამენტი გაუთავდა,
მოხსენებაც დათავდა,
ბაღლინჯოს კი მომხსენებელს
არ დაუწყო არვინ დავა.

დაადგინეს:
თუმცა, არა,
ბოდიშ ვიხდი, რის დადგენა!
მოხსენების დასაწყისში

გაიპარა სახლში ყველა
და ბაღლინჯომ შემოსძახა:
„დაუგეო ყველას მახე,
დასაწყისში ჩემს სიტყვაში
თავს სახე დაინახეს“

და ამიტომ გაიპარნენ,
რჩენენოდით აქ დარჩენა...

მაგრამ უცბად რწყილი გაჩნდა
და ბაღლინჯო შეაჩვირა:

ახტა, დახტა, გაიცინა,
გაღმოავდო შმაგი ენა
და ბაღლინჯოს მომხსენებელს,
ეს სიტყვები მოახსენა:

— გულთ მსოფლით მათ აქ ყოფნა.
გარგავი ვიცი ძმაო ესო.

მაგრამ რა ჰქნან. ორ წუთზე მეტს
შენს მყარალ სუნს ვირ გაუძღეს...

გ. ივანიშვილი

ალარა გვაქვს საღმურმო გუფატა ჰპრა პანდური

ნან. ა. თომბიძის

სადგ. წნორის წყალში მთელი დარბაზი
დაკავებული აქვს ბუფეტს, სადაც ყოფნა
შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
ისარგებლებთ ბუფეტით.

ბაღლინჯო
მოხსენებელი



მიგუფატა:—იხაროს ჩვენმა ბუფეტებმა! მობრძანდით ისამოვნეთ! შემოხვალა
ბუფეთი. ფულს არ ვახდევინებთ.

უ ვ ი ლ ე ბ ი

(თარგმანი)

სამი მოხუცი ქალი ყოველდღე ხვდებოდა
ერთმანეთს სარძეოში, საკანდიტროსა და
მწვანის მალახიში.

ერთ მათგანს, ყველაზე ახალგაზრდას
ესტერა ხავერდის ქული, მეორეს — მოქსოვი-
ლი ბერეტი, მესამეს კი თალხი თავშალი.

ერთხელ ისინი ერთმანეთს გამოებასნენ.
ხავერდის ქულიანმა მოხუცმა თქვა:

— ჩემს შვილს მთელი 1-იანა უსმენს.

— ჩემი კი ყველაზე მაღლა იმყოფება, —
თქვა მოქსოვილი ბერეტიანმა მოხუცმა. მე-
სამე მოხუცმა კი პატივისცემით გადახტა
მათ — ამოიხსრა და წამოთქვა:

— ჩემი შვილი ფეხსაცმელების მკერავია!

უეცრად მათ თავს ზემოდ გაისმა რადიოს
ხმა. ჩახლენილი ბარიტონი ლაპარაკობდა:

„ისმინეთ, ლაპარაკობს მოსკოვი“.

— ისევ ხრიწინებს, — უკმაყოფილოდ წარ-
მოთქვა ხავერდის ქულიანმა მოხუცმა.

— ეს ყოველთვის ასეა, ხრიწინებს, ხიხინებს.

— ხელის ჩაქნევით დაუმატა ბერეტიანმა მო-
ხუცმა.

— ვინ არის „ის“? — განა მე რადიოს შე-
სახებ ვამბობდი? იწყინა ყველაზე ახალ-
გაზრდა. მე ჩემი შვილის — ბორისა შესახებ
ვთქვი. ისევ გაციებულა. ამ დროს, ბარიტონ-
მა თავშეუკავებელი ჩაახველა.

— რა უშავს, — ჩაიკინა გამვლელმა მამა-

კაცმა — მოსკოვში დაახველა, ირკუტსკში
გვესმის.

— თითქოს დახველება არ შეიძლებოდეს,
— იწყინა მოხუცმა.

„ისმინეთ უკანასკნელი ცნობები, — განა-
რძობდა ბარიტონი — დღეს 13 საათსა და 20
წუთზე ცნობილი მფრინავი იფანოვი...“

— ჩემი შვილის შესახება, — სიამოვნე-
ბით ჩაილაპარაკა მოქსოვილი ბერეტიანმა მო-
ხუცმა — ის ყველაზე მაღლა აფრინდა.


„...გაფრინდება სოჩაში — აცხადებდა გაციე
ბულის ხმით ბარიტონი, რომელსაც მიჰყავს
თავისი თვითმფრინავით სანატორიუმში საგ-
ზურით დაჯილდოებული ფეხსაცმელების
ფაბრიკის მუშა ორდენოსანი — სტახანოვე-
ლი ამხ. პიგოროვი...“

— ვანუშა! — ბედნიერი ღიმილით წამოი-
ქახა თავშალიანმა მოხუცმა, თქონი ზომ, —
მიმართა ხავერდის ქულიან მოხუცს, — ლა-
პარაკობს რადიოში. თქვენს კი — მიმართა
მოქსოვილი ბერეტიან მოხუცს, — ჩემი შვილი
სოჩაში მიყავს. ნეტა მშვიდობიანად ჩაიყვა-
ნოს!.....

— როგორ, თქვენ ზომ თქვით, რომ თქვე-
ნი შვილი ფეხსაცმელების მკერავია? — შეე-
კითხა ყველაზე უფრო ახალგაზრდა, ის
თურმე ორდენოსან სტახანოველი ყოფილა!

— მერე რა, მხიარული ღიმილით აღნიშნა
თავშალიანმა მოხუცმა — ფეხსაცმელების მკე-
რავია!

გ. კარბოვსკაია



ქოივას დოდოს კატა „დაეთესა“, შეფერი ძეზნა ფისო, ვერ მონახა ვერსა.

მკითხვემა სთქვა: „კატა უკვე დაუხრჩვიათ, უი, კატის ცოდვა საიჭიოს მიაქვთ“.

მიაშურა მკითხველს, სთხოვა გაშლა „კატის“,

და შეტყობა მისგან ბედის „ძვირფას“ კატის.

ამ სიტყვაზე უცებ დატრიალდა „ხათა“, კარს მოახტა ხელად დაკარგული კატა.

გაიხარე დოდოვ! დაგიბრუნდა კატა... კომკავშირის ბილეთს რად ატარებ რადა?! ჰკუთხატაველა.

ებრაელების ბაზარში როგორც შეგყავი ცხვირია, მართალი გითხრა, ვიგრძენი მე დიდი გასაჭირია.

ლამის შევიქნენ ბედისგან დანაგმობ-განაწირია თორემ ისეთი სუნი დგას კაცს გაუჩივება ჭირია. ველარ გაუძლებს სიმყარეს რაც უნდა იყო გმირია. როგორღაც იყო გავცილდი, გადავიარე ზღვარია. საბჭოთა აფთიქისა შევალე უცებ კარია

და ფარმაცევტკას შევს ზოგე კაპლი წვეთობით სამია. შევკადრე: — გული სწუხს — მეტყე და თანაც არა მცალია, მან კი ტუჩისა აწვეით.

მითხრა: — არ გვაქვსო ცვარია. ჯვარცმისა ეკლესიიდან მომესმა ხმები ზარისა, იქ ასულიყო გუმბათზე მღვდელი უცნობი გვარისა. — ვინც არ მონათლავს, — ამბობდა გამშრალი ხახა-პირითა, ყველა მოკვდება ბავშვები წარღვნით, ჟამით და ჭირითა. ჭაგნელი ბზიკი.

რაც არ გეხება, ნუ ეჩხირები

ერთ დღეს სკოლიდან გახარებული შე-ოვარდი სახლში, მინდოდა ჩემი დიასახლისისთვის მიმეხარებია ჩემი შემდეგ ჯგუფში გადასვლა, მაგრამ დახე ჩემს გაკვირვებას: მის მუღამ მზიარულ თვალებზე ცრემლები დაინახე. უცებ სახტად დავრჩი და ვერ გავხედე მეკითხა ცრემრელების მიზეზი. ბოლოს თვითონ მითხრა:

— დიდი უბედურება დაგვატყდა შვილო თავზე.

— როგორ თუ უბედურება, რაშია საქმე?

— კოლია გარდაიცვალა, საწყალი, რა კარგი კაცი იყო. ჩვენს კოოპერატივში მუშაობდა ნოქრად, ყოველთვის ვმოულობდი მასთან შაქარს, რომლის შოვნა სხვაგან არ შეიძლო.

ახლა კი მივხვდი ვის უფრო ტირიდა ჩემი დიასახლისი, კოლიასა თუ შაქარას.

— პანაშვიდზე უნდა წამყვე! — მითხრა მან. მეც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

შევედით თუ არა მიცვალებულთან ჩემმა დიასახლისმა თავში ხელი დაიშინა და მიცვალებულის ცოლის წინაშე დაეშრა.

— გაიმე შე საცოდავო აღათი, რაფა დაი-ლუბე, ვერ მოგიტანს ყველაფერს ძველებურად შენი კოლია, შენ კი არა ჩემთვისაც დაუქმდა მაგის მარჯვენა, მაგის ნაშონი შაქრით ამისანა სიძვირეში სამნაირი მურაბა გავაკეთე.

მე კი იმდენი ვიტრიალე რომ მუსიკანტებთან ამოვყავი თავი, მიცვალებულის თავთან დავდექი.

— თქვენ ალბათ რაიმე ახლობელი იქნებით მიცვალებულის. — მომხართა ერთმა.

— დიახ! ვუპასუხე მე და ძალიან მოვიჭმუნე, ვითომ ამით მინდოდა დიდი მწუხარება გამოვჩხატა, ეს კაცი მომცილდა, ცოტა ხნ. შემდეგ ვხედავ, რომ იგი ანთებული სანთელით მოდის ჩემსკენ და მეუბნება:

— გეთაყვა ძალიან გულდამწვარი ხართ და როგორც ახალგაზრდა იმედია პატივს ცემთ უკანასკნელად თქვენს ნათესავს და დაიჭერთ ამ სანთელს მის კუბოსთან:

რალას ვიზამდი. სანთელი გამოვართვი და დავადექი თავზე. ერთი წუთი ჩემთვის ერთი საუკუნეა. ძრიელ მინდა სანთელი მალე დაიწვას, რომ განვთავისუფლდე ამ წაშვებისაგან.

როგორც იქნა განვთავისუფლდი მოვძებნე ჩემი დიასახლისი და სახლისაკენ წავიდით.

— ზეგ ასვენებენ. — მითხრა მან და უსათუოდ უნდა დავესწოთ.

მოვიდა გასვენების დღეც და ჩვენც წავედით. იმის მოლოდინში ვარ, რომ იქ ფლავს ვქაძო, რადგან სოფელში გავიწილი მქონდა უპურმაროლოთ გასვენება სირცხვილი იყო.

ველოდები სუფრის გაშლას, რომ ამ დროს მოდის ჩემი ნაცნობი კაცი და მეუბნება:

— წესი და რიგია, რომ მიცვალებულს საბოლოოდ პატივი ვცეთ. იგი აწი მეტს არაფერს მოგვთხოვს... აი ეს მისი სურათი უნდა დაიჭიროთ და სასაფლაომდე მიიტანოთ, ამით დიდ პატივს დადებთ მიცვალებულს.

ახლა კი მივხვდი, თუ რა ხათაში ჩავარდი. სურათი ხელში შემომიხრჩეს და ყველას წინ დამაყენეს. ჩემს უკან გვირგვინებით ჩამოვკრივდნენ ახალგაზრდები. პრაქცესია დაიძრა საკმაო მანძილი გავიარეთ, რომ დამელალა ხელი, სურათი თოკით ჩამოვიკიდე ყელზე, ცოტა შევისვენე, მაგრამ ისევ ის კაცი მომეჩხრდა და მიყვირა:

— როგორ მიჩანჩალე! სურათი სწორა დაიჭი, არ გაგიტყდეს. მე წელში გავვიმართე და ნელი ნაბიჯით ღინჯად გავექვი წინ. ამ დროს ერთი მონუცი ქალი მოდის და მეკითხება:

— რამდენი წლის იყო შვილო?

— მე ნათლია არ ვყოფილვარ დედი.

— ვაი. ახალნდელი ახალგაზრდები გაწყვიტა ჭირმა, აღარც უფროსი იქიან აღარც უმცროსი. შენ/მიეწიე მაგას. მაგ პატიოსანი კაცის სიკვდილს შენისთანა ლაწირაკები დაწყდეს უფრო მადლი არ არის. მეტი აღარ შემეძლო, დავიქანე, ლამის ჩავიკეცე. აბა თქვენ წარმოიდგინეთ ბალახენიდან საფიხიის სასაფლაოზე ამოდენა სურათის ატანა იქით — აქეთ გავიხედე და რაიხნაზე ეზოში ქა.

— ძია, ერთს წუთს წყალს დავლევ და ამ წუთში დავბრუნდები, ეს სურათი დაიკა-ი! — ზოთხარი მას ღინც სურათი შემომიჩე-ჩა ხელში პირველად.

— მალე მოდი! მითხრა მან ბრძანების კილოთი და სურათი გამომართვა. სურათი გადავეცი თუ არა, ისეთი სისწრაფით მოგ-კურცხელი სახლისაკენ, რომ იორღაც ვერ დამეწეოდა.

გური.

გოღოგრი

მიაუ-მიაუს (ტოიოისა) თქვენ სწირთ:

„რომ ერთხელ მაინც ტრამვაი, მენახა დროზე მოსული, დავატოვებდი ვატმანსა, თუნდ ვყოფილიყავ ორსული.“

ერთი, რომ „ორსული“ ყურით მოთრეული რითმავ; მეორე ორსულობის დროს დაპატივე-ბა და ქეიფი არაა მისაღები; მესამეც ტრამ-ვის დროზე მოსვლას ნატრობენ არა მარტო ორსულები, არამედ სხვებიც.

ზიკონს. თქვენი ლექსი გვეუცნაურა:

„სენაკში რომ სახტუმროა, თქვენი მტერი ისეთიო: ბალღინჯოთა მომაცადეს, რაც კი მქონდა ხორცმეტიო...“

ბალღინჯოები კი არა, დოსტაქრები ყო-ფილან. ფული არ გამოუერთმევიათ? თქვე-ნით უნდა მიგეცათ.

ჯირსვაიძის. თქვენც ამავე თემაზე წერთ:

„თელავის სახტუმროშია ბალღინჯო გადამხვია; ვფიცავ, დილამდე ათახი ბალღინჯო გამიცხვია“...

აფსუს, რა საცხველი ცდება თქვენი სახით?

თქვე კაი კაცო, თელავის სასტუმროში ბალღინჯო გადაგხვეოდა, მაშ ცოლს ხომ არ შეგართავდნენ?

მოუსხმნარს: „მიყვარს სუბტროპიკები,

ჩაი და მანდარინი, კარგია გრეიფრუბიც, შიგნით თუ უღვეს ტვინი. ლიმონის სორგოს რა სჯობს, სჭამე, განდევნე იჭვი: მე კი გეახელ ბევრჯერ და მომივიდა ნიჭი!“

ზედგი გეტყობათ.

ამბოხს. (ქ.მანარაძიდან) იწერებით, რომ: „ფორმალისტური დიაგნოსტიკის თესლი შიშოიჭრა აქაურ მწერლობაშიც: ხშირად ნა-ხავთ აღექვადურ ულტროფენომენალიზმის უინიციალო აპოკრიფებს, რაც აღრენადინის-ტური დიაგნოსტიკაა.“

დიაგნოზისათვის მიმართეთ მაქაურ პატივ-ცემულ ექიმებს. ჩვენის აზრით, თქვენი ავად-ყოფობა მარტო ფორმალისში არაა. ამას გარდა, ჩეხოვის ერთი გმირის არ იყოს — ნუ ხმარობთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც თქვენ არ გეცნობთ.

გეოგრაფიკული



— იაკობის „აღმავალი მზის მხედრის“ შესახებ. მზის ლაქად გადაფარა და ეს რამდენიმე წელია კი მზის გვიგნელადაა!

პ. მ. რედაქტორი ს. მუღი

მთავლიტის რუ. № 2 10388

ს. თოდუას სახელობის სტამბა „კომუნისტი“ კამბო ქ. №-68

რედაქციის მისამართი: ჯორჯიანული ქ. №-5